ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1306360

ნომერი: AR1223943

თარიღი : 28.05.2014

გაცემის თარიღი : 03.06.2014

გაცნობის თარიღი : 06.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზემო ვაკის ქუჩის ბოლოში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ბრეგვაძე პ/ნ 01017006098
- თბილისი ს.ჭიაურელის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, ბინები დაყოფილია და არსებობს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საჭიროა განცხადებით მოგვმართოს კონკრეტული ბინის მესაკუთრემ, ან წარმოდგენილ იქნას მისი თანხმობა აღნიშნულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე. „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ ,საკადასტრო კოდში მიეთითოს ბინის წილობრივი მონაცემები, ხოლო იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ უნდა იქნას ყველა სარეკონსტრუქციო არეალის ფოტოსურათები ახლო მანძილიდან გადაღებული და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები, ასევე მოთხოვნის ტექსტში ვრცლად განიმარტოს ყველა ჩასატარებელი სამუშაოს შესახებ დეტალური ინფორმაცია, მის შესაბამისად კი არჩეულ იქნას შესაბამისი ნომენკლატურები.

გაითვალისიწინეთ:

1.თუ ხორციელდება ისეთი სამუშაოები, რომლის მიხედვითაც ჩნდება ახალი ფართი წარმოსადგენი იქნება ამხანაგობა "ზემო ვაკე 52"-ის დაფუძნების კრების ოქმი და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ოქმის თანახმად არ არის განსაზღვრული ამხანაგობის თავმჯდომარის ერთპიროვნული უფლებამოსილება კორპუსზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, დამატებით წარმოსადგენი იქნება ამხანაგობის წევრთა თანხმობები (ნოტარიულად დამოწმებული სახით).

2. მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილ იქნას ესკიზური ნახაზები, როგორც არსებული, ასევე საპროექტო (გაურკვევლია საკადასტრო საზღვრის გარეთ აივნის საკითხი).

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.